ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 338-ს

(კონსოლიდირებული ტენდერი con180000008)

ქ. თბილისი „8" „ნოემბერი ", 2018 წ

ერთი მხრივ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,აისი" დირექტორის მალხაზ ასლამაზაშვილის სახით, და მეორე მხრივ შპს ,,თეგეტა მოტორსი" გენერალური დირექტორის მინდობილი პირი გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე თეიმურაზ დარისპანაშვილის სახით , ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 20[2] მუხლის, მცირეტვირთამწეობისავტომანქანების 2018-2019წლების საბურავების კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 21 ოქტომბრის N14 ბრძანებით დამტკიცებული საბურავების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების, აგრეთვე „2018-2019 წლების განმავლობაში საბურავებისსახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებითგანხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11ივლისის №1411განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2„ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნითი შესრულებისათვის.

1.3„დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4„შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5„მიმწოდებელი" - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში

1.6„საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7„სატენდერო კომისია" - „2018-2019 წლების განმავლობაში საბურავების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე"

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11ივლისის №1411 განკარგულების საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისია.

1.8„ფორსმაჟორი" - მხარეებისათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი „შემსყიდველისა" და/ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, საომარი მოქმედებებით, სტიქიით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა ისეთი მოვლენით, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ან/და იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

2.ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

2.1წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანის საბურავები, რომლებიც აკმაყოფილებს კონსოლიდირებული ტენდერის (Con180000008) სატენდერო დოკუმენტაციითა და მისი დანართით განსაზღვრულ ტექნიკურ მაჩვენებლებს.

2.2შესასყიდი საქონლის რაოდენობა არის 4 (ოთხი) ცალი საბურავი, დანართი №1-ის შესაბამისად.

2.3 შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: **CPV-34300000**, ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის.

3.ხელშეკრულების საგნის ღირებულება

3.1

ა) ხელშეკრულების ღირებულებაა: 620.00 (ექვსასოცი) ლარი, დანართი №1-ის შესაბამისად.

4.საქონლის მიღება - ჩაბარებისა და ანგარიშსწორების წესი

4.1მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო წინადადებით ნაკისრ მომსახურების პუნქტებზე შესაბამისი მომსახურების გაწევა.

4.2წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

4.3საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარებისაქტის გაფორმების შემდგომ.

4.4კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანის საბურავების მიწოდებისას ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით ეროვნულ

ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშსწორება ხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

5.მხარეთა უფლებები და ურთიერთვალდებულებები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

ბ) საქონლის მიწოდება განახორციელოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

გ) პასუხი აგოს საბურავების ხარისხის შესაბამისობაზე სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებსა და დანართით დადგენილ ტექნიკურ მაჩვენებლებზე.

5.2მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება

5.3შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება.

ბ) მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.

გ) შეწყვიტოს ხელშეკრულება, სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში.

5.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მიმწოდებლისაგან მოითხოვოს საქონელის მიწოდება კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო წინადადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ბ) განახორციელოს საბურავის ინსპექტირება, რაც შეიძლება გულისხმობდეს საბურავის ვიზუალურ შემოწმებას ან შესაბამის ექსპერტიზას.

გ) სატენდერო კომისიას მიმართოს შესაბამისი დასაბუთებით საბურავების ხარისხის გაუარესების თაობაზე. კომისიას უფლება აქვს, მიმწოდებელს მოსთხოვოს ექსპერტიზის ჩატარება მის მიერ მითითებულ საექსპერტო დაწესებულებაში და შედეგების სატენდერო კომისიისათვის წარდგენა. ასეთ შემთხვევაში ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს შემსყიდველი ორგანიზაცია.

დ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

ე) საქონლის მიწოდების ვადის 5-ზე მეტი სამუშაო დღით გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

6.პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დაღვევისათვის

6.1მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

6.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაიხადოს პირსაგამტეხლო ვადაგადაცილებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0.5%.

6.3სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ გადაიხადოს საჯარიმო თანხა, კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) საბურავების ღირებულების 20%- ის ოდენობით.

6.4სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.ფორს-მაჟორი

7.1მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

7.2თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობითი ფორმით აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.3.მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

8.დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

8.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ საქართველოს საერთო სასამართლოებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

8.3 მხარეთა შორის დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობით.

9.სხვა პირობები

9.1არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

9.2მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

9.3ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ... ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა იყოს შესრულებული ქართულ ენაზე.

9.4წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

10.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 31 დეკემბრის ჩათვლით.

11. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "აისი"	შპს. „თეგეტა მოტორსი"

გურჯაანის რ-ნი, სოფელი კაჭრეთი.

ს/კ: 227770800

ბანკის კოდი: TRESGE22

ტელეფონი: +995 (790) 110 120

E-mail: kachreti@gmail.com

დირექტორი: /შ.ასლამაზაშვილი/

ს.კ 202177205

მომსახურე ბანკი: სს„თიბისი ბანკი"

ბანკის კოდი: TBCBGE22

ა.ნ.GE80TB0600000024467853

მისამართი: ქ.თბილისი დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.N5

დირექტორის მოადგილის

მინდობილი პირი : /თ.დარისპანაშვილი/

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY
#5, 12 km, D. Agmashenebeli Alley,
0131 Tbilisi, Georgia. ID: 202177205
+995 32 224-44-44 www.tegetamotors.ge
გაყიდვების დეპარტამენტი

დანართი №1

ზომა	რაოდენობა	ბრენდი	მოდელი	ერთეულის ფასი	ჯამური ფასი	მიწოდების თარიღი
R16c 235/65	4	ჩინეთი	Catchsnow	155.00	620.00	08.11.2018

შემსყიდველი:

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "აისი"

გურჯაანის რ-ნი, სოფელი კაჭრეთი.

ს/კ: 227770800

ბანკის კოდი: TRESGE22

ტელეფონი: +995 (790) 110 120

E-mail: kachreti@gmail.com

დირექტორი:

/შ.ასლამაზაშვილი/

მიმწოდებელი:

შპს. „თეგეტა მოტორსი"

ს.კ 202177205

მომსახურე ბანკი: სს„თიბისი ბანკი"

ბანკის კოდი: TBCBGE22

ა.ნ.GE80TB0600000024467853

მისამართი: ქ.თბილისი დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.N5

დირექტორის მოადგილის

მინდობილი პირი : /თ.დარისპანაშვილი/

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY
#5, 12 km, D. Agmashenebeli Alley,
0131 Tbilisi, Georgia. ID: 202177205
+995 32 224-44-44 www.tegetamotors.ge
გაყიდვების დეპარტამენტი